ხუთშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 1 № 137
წლიწადი მეორე

ხუთშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 1 № 137
ფასი 30 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

შაბათს, აგვისტოს 3, საღამოს სრულ 7 საათზე, დანიშნულია პარტიის წევრთა

## საერთო კრება.

მოხსენებას წაიკითხავს ბ-ნი **ტრიფონ ჯაფარიძე.** დასწრება ყველა წევრის **სავალდებულოა.** გთხოვთ დროზე დამოცხადდეთ.

საგუბ. კომიტეტი.

## განცხადება.

„ქართული საავტომობილო და სააქციონერო საზოგადოება“

ეს საზოგადოება შესდგა 1918 წ. ქ. ქუთაისში.

მისი მიზან-დანიშნულებაა, მოაწყოს სრულიათ საქართველოს იმ კუთხე-მხარეებში სადაც რკინის გზები და ავტომობილები არ არის საბარგო და სამგზავრო

## ავტომობილების მიმოსვლა,

რათა მძიმე აუტანელ მდგომარეობიდან იხსნას ხალხი.

საზოგადოებას ძირითადი თანხა ამ ჟამათ 300,000 მანეთამდის აღწევს. საზოგადოებამ თავისი წესდება თანახმათ გამოსცა ყველასათვის ხელმისაწდომი 500-500 მანეთიანი აქციები და მსურველს შეუძლია მისი სყიდვა-შეძენა შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი. 1) რუსის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების კანტორაში პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი კ. ქუთათელაძესთან 9—1 საათ. 2) ქუთაისის საურთიერთო ბანკის გამგეობის წევრთან პ. უზნაძესთან 9—1 საათ. 3) საწყობი ხე-ტყის ორთქლით სახერხ ქარხანაში, ბალახვანის ქუჩა, კ. დათეშიძესთან.

**საზოგადოების უმთავრესი დამაარსებელნი:** დომენტი ოტიას ძე ბენდუქიძე, მალაქია გლახუას ძე ნატბელაძე, იაკინთე გიორგის ძე ჯებაშვილი, გიორგი ალექსანდრეს ძე ქარსიძე, გენადი გიორგის ძე ალავიძე და ვლადიმერ მალაქიას ძე ჯაფარიძე. 4—1

## კბილის ექიმები

**მ. ი. ახვლედიანი** და

**ო. დ. პროშლიაკოვა**

ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს და საღამოს 5 ს.—7 ..

მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

ექიმი

## ზ. ა. ეზიკაშვილი

მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავათმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

## ბოლშევიზმი და მენშევიზმი.

ბევრს გონია, რომ ამ ორ პოლიტიკურ მიმართულებას შორის დიდი განსხვავება სუფევს, დიდი ორმო არის გათხრილი.

ყველაზე უფრო დღევანდელი მენშევიკები ცდილობენ დაარწმუნონ საზოგადოება და ხალხი, რომ მათ არავითარი საერთო არა აქვთ რა ბოლშევიკურ მოძლვრებასთან.

ნამდვილათ კი მენშევიზმი და ბოლშევიზმი ერთი დედის ღვიძლი შვილები არიან. ერთსა და იმავე ნიადაგზე აღმოცენდენ და გაიფურჩქნენ.

წინათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მიმართულება ერთს განუყოფელ და მთლიან მსოფლმხედველობას წარმოადგენდა. მხოლოთ შემდეგში მოხდა მისი გათიშვა და დანაწილება სხვადასხვა მიზეზების გამო, რომლის აღნუსხვა ჩვენ ძლიერ შორს წაგვიყვანდა.

უმთავრესათ ორი მთავარი მიმართულება, ბოლშევიკური და მენშევიკური, იქცევდა ქვეყნის ყურადღებას.

მათ შორის საშინელი და დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა საზღვარს გარეთ, სადაც თვითეულ ამ მიმართულებას საკუთარი ორგანო ქონდა. მენშევიკებს „ისკრა“ ბოლშევიკებს „ვპერიოდ“.

უკანასკნელის ბელადი იმთავითვე სახელ-განთქმული ლენინი იყო, რომელსაც უხდებოდა განუწყვეტელი ბრძოლა მენშევიკების ხელმძღვანელებთან. ის, რაც ეხლა ხდება მოქმედების სფეროში, მაშინ იდეის სამეფოში სწარმოებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ეს მიმართულება თავის მოძღვრათ ერთსა და იმავე პიროვნებას სახავენ, ორივე მას უკმევენ გუნდრუკს და ეთაყვანებიან, მის ხატზე ლოცულობენ.

ორივე ეს სხვადასხვა, ერთი მეორის მებრძოლი პოლიტიკური მოძღვრება, მარქსიზმზე ემყარება. ერთი მეორეს ეცილებიან მარქსისტულ მართმორწმუნეობაში.

საჭიროა იმის ცოდნაც, რომ თვითეულ მათგანს თავისებურათ ესმოდა მარქსიზმის დედა-აზრი.

ერთი მთავარი, პრინციპიალური საკითხი რომლის გარშემო უზომო დიდი დავა და შეხლა-შემოხლა ასტყდა ამ რამდენიმე ხუთეული წლის განმავლობაში და რომელიც საფუძვლათ დაედვა ბოლშევიკების და მენშევიკების ერთმანეთის დაშორებას და შეურიგებლობას, იყო საკითხი პარტიის და მუშათა კლასის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

მენშევიკები გამოდიოდენ რა მარქსის სოციალოგიურ თეორიის ძირითად დებულებიდან, მდგომარეობა ქმნის შეგნებას, ამბობდენ, რომ კაპიტალისტური საზოგადოების ვითარება ბუნებრივ და გარდუვალ კანონებს ემორჩილება. ამ კანონების შეცვლა და ცხოვრების ობიექტიურ პირობების შეტრიალება არავის არ ძალუძს. მათი მოძღვრებაც არის მხოლოთ გამოხატულება თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ სოციალ-ურთიერთობისა, კლასთა ბრძოლისა, რომელიც სწარმოებს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატის შორის.

პროლეტარული კლასის ერთად-ერთი დამცველი, სოციალ-დემოკრატია, თავის მოქმედებას და ტაკტიკას მუშათა კლასის მდგომარეობას უნდა უფარდებდეს. უნდა უწევდეს, აუცილებლათ, ანგარიშს მშრომელი მასის სულის-კვეთებას, მის სულიერ განწყობილებას და პოლიტიკურ მომზადებულობის დონეს, ყოველ განსაზღვრულ მომენტში.

ერთი სიტყვით მენშევიკების პოლიტიკური შემეცნებით, ვიდრე პარტია რაიმე ნაბიჯს გადადგამდეს, საჭიროა ხალხის დაკითხვა, მისი აზრის გაგება და ამის და მიხედვით გამოსვლა და მოქმედება.

ყოველ მათ პრაქტიკულ გამოსვლას საპოლიტიკო თუ სოციალ-ასპარეზზე საბრძოლველათ წინ-უნდა უსწრებდეს მშრომელი ხალხის ფართო ნაწილის მომზადება, მისი გათვითცნობიერება, ურომლისოთ ყოველი მოძრაობა აუცილებლად დამარცხდება.

ბოლშევიკები კი, სულ სხვა აზრს ადგენ. ისინი უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევდენ სოციალისტურ ინტელიგენციის როლს მუშათა განთავისუფლების საქმეში.

მათი აზრით საჭირო არ არის, რომ მთელი მშრომელი ხალხი, მთელი მუშათა მასსა იყოს გათვითცნობიერებული. ეს არც შესაძლოა თანამედროვე სოციალურ პირობების გამოისობით.

სოციალისტურ პარტიის მოვალეობას შეადგენს, რასაკვირველია, შეიტანოს კლასიური შეგნება მშრომელი ხალხის, რაც შეიძლება, ფართო მასაში მაგრამ ის არ უნდა შეუშინდეს იმ გარემოებას, რომ უმეტესობა ჯერ კიდევ არ არის პოლიტიკურათ გაწრთვნილი და მომზადებული.

მუშათა კლასის ინტერესების საუკეთესო წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიული პარტია, მაინც უნდა გამოვიდეს და მოუწოდოს ხალხს რევოლუციონური ბრძოლისაკენ, შექმნას პირველი რაზმები მომზადებულ უმცირესობისაგან და მოუმზადებელი და შეუგნებელი ნაწილი ძალით ჩაითრიოს მისთვის სასარგებლო და აუცილებელ სოციალურ ბრძოლაში, რომელიც მას ბედნიერებას მიანიჭებს.

ამიტომ არის, რომ მენშევიკები ბოლშევიკების სოციალ-პოლიტიკას არა დემოკრატიულ საფუძველზე აშენებულათ სახავენ.

ბოლშევიკების აზრით, ხალხის უმეტესობას, რომ დაუჯეროთ და მის სულისკვეთებას ავყვეთ თავის დღეში ვერ შევქმნით მის აუტანელ არსებობის გასაუმჯობესებლათ საჭირო პირობებს. ხალხი უმეტეს ნაწილათ შეუგნებელი და გაუნათლებელია.

ამიტომ იყო, რომ მათ არ იწამეს რუსეთის ხალხის მიერ დემოკრატიულ საფუძველზე არჩეულ წარმომადგენელთა კრებული, დამფუძნებელი კრება და გარეკეს იგი, როგორც, თუმცა ხალხის სურვილების გამომხატველი, მაგრამ შეუფერებელი და დამღუპველი ამავე ხალხის ინტერესების თვალსაზრისით.

როგორც სჩანს ზემო—ნთქვამიდან მენშევიკები ყოველთვის ხალხის შეგნების დონემდე ეშვებიან, მას მისდევენ უკან, მის აღმასრულებელ ორგანოს როლს თამაშობენ. ვერ ბედავენ მოუმზადებელ ხალხს მოუწოდოს ბრძოლისათვის.

ბოლშევიკები—პირ იქით, უფრო ძლიერი ნებისყოფის და მხნე ხალხი გამოდგენ.

ისინი არ აქცევენ ყურადღებას მიმდევართა სიცოტავეს და თვით ბრძოლის პროცესში და მოქმედების მაგალითით სურთ თავის რევოლუციონური ლაშქრის გაძლიერება.

პირველნი კომპრომისული ტაკტიკის და ნახევარ—ზომის ხალხი არიან, მეორენი პირდაპირის და აქტიური ბრძოლის მიმდევრები გახლავთ.

ისინი უკან კი არ მიყვებიან ხალხს და ცხოვრებას, არამედ ცდილობენ ხელმძღვანელობა გაუწიონ მას და დააჩქარონ ცხოვრების პირობების შეცვლის პროცესი.

სოციალიზმის დანარჩენ პრინციპებს ორივე ერთნაირათ აღიარებენ,—ორივე მიმართულება ერთნაირათ დამნაშავე არიან ჩვენ დღევანდელ ცხოვრების არევდარევის და მოუწყობლობის საქმეში.

საქართველოში გამეფებული ანარქია; ერთმანეთის გადაკიდება, ხოცვა-ჟლეტა და დაუნდობლობა შური და უპატივცემლობა ადამიანის შეურაცხყოფა და მხეცური ინსტიქტების გამეფება ნაყოფია ორივე პოლიტიკური მიმდინარეობის საერთო თვისების, მათ მიერ მრავალი წლების განმავლობაში განუწყვეტელი ქადაგების, რომ ცხოვრებაში მხოლოთ გამთიშავ და დამრღვევ ძალას აქვს მნიშვნელობა, რომ კაცობრიობის ისტორია საზოგადოთ და კერძო ჩვენ პატარა ქვეყნის შინაური ცხოვრება წოდებათა და კლასთა შორის გამუდმებულ ბრძოლას წარმოადგენს.

# დღეს.

## წერილები.

ალ. თორაძე—მენშევიზმი და ბოლშევიზმი.

ია ეკალაძე რევოლუცია და პიროვნება.

—

ი. ც. სტუმრები სტამბოლიდან.

—

კ. მაჭავარიანი საქართველოს ხახულის მონასტერი.

## ცნობები.

გერმანეთის ცნობა მირბახის მოკვლის შესახებ.

—

საქართველოს მთავრობამ გააუქმა სასურსათო კომიტეტები და თავისუფალი ვაჭრობა აღადგინა.

—

ცნობები სტამბოლის კონფერენციის შესახებ.

—

გენერალ ოდიშელიძის დაბრუნება.

—

დღეს კავკავში გაიმართება მოლაპარაკება საქართველოს და თერგის ოლქის მთავრობათა წარმომადგენლებისა.

—

ცნობები ტუაპსის აღების შესახებ.

—

—

მოსკოვში გერმანეთმა თავის ელჩათ გელფერიხი დანიშნა.

—

ბრძოლა ბოლშევიკებთან ლეჩხუმში.

---

ყოჩაღ ის არის ვინც ამ ბრძოლაში, რომლის მიზანი უნდა იყოს მდიდართა და შეძლებულთა ამოჟლეტა, მეტს მხრეობას, ადამიანის სისხლის სმის და ხორცის ჭამის მეტს უნარს გამოიჩენს.

ხადია, რომ ამნაირი სწავლა ქადაგება სხვა ნაყოფს ვერ გამოიღებდა.

მენშევიკები დღეს გრძნობენ ამ ქადაგების სამწუხარო, ქვეყნის და ხალხის დამღუპველ შედეგებს და ცდილობენ ხალხს გადაავიწყონ ის, რასაც განუწყვეტლივ ეჩიჩინებოდენ რამოდენიმე ათეული ხნის განმავლობაში, მაგრამ მტრობის და შურის მოძღვრების ნიადაგზე აღზრდილი ხალხი ამას ვეღარ ახერხებს. და ამიტომ არც ანარქიას ეღება ბოლო.

ბოლშევიკები, კი ეხლაც არ ცხრებიან და წინანდურათ განაგრძობენ საზოგადოების ერთი ნაწილის მეორე ნაწილზე ამხედრებას, დაუნდობელი და შეუპოვარ სამოქალაქო ომის ქადაგებას.

როგორც სჩანს, ამ ორ პოლიტიკურ მსოფლ-მხედველობას შორის არ არის არსებითი განსხვავება.

ქვეყანას კი გონია თითქო მათ შორის სრულიად არაფერი საერთო არ იყოს.

უბედურებაც სწორეთ ის არის, რომ ისინი, როგორც ზემოდ დავინახეთ, ერთი ერთმანეთის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლ თაგანი ყოფილან.

ყოვლად შეუძლებელია ერთხელაც არის, არ მოხდეს მათი დაახლოვება და შერიგება.

განთავისუფლებულ საქართველოსათვის საჭირო ეროვნული მთლიანობის საფრთხეც, შეიძლება, აქედან წამოიჭრას.

ალ. თორაძე.

## რევოლუცია და პიროვნება.

„დამლა, გაქარწყლება და გათქვეფა შესმენილისა, ხოლო ზეიმი და გამარჯვება შეუსმენელი პიროვნებისა, გავრცელება იდეებისა შთაგონების გზით და მისწრაფება ამ იდეების დაუყოვნებლივ განხორციელებისაკენ,—ასეთია დამახასიათებელი თვისებანი ბრბოისაგან შთანთქმულ ყოველივე ინდივიდისათ“ ამბობს ლებონი თავის ერთ ერთ გამოკვლევაში, რომელსაც სახელად ეწოდება „პსიხოლოგია ბრბოისა“ და მართალსაც ამბობს.

თუ ჩაუკვირდებით დღევანდელ ჩვენს ყოფნას, თუ გავითვალისწინებთ ზეგავლენას მასსისას ცხოვრების თანამედროვე პირობებზე, თუ ვამხილებთ თითეულის ჩვენთაგანის მოქმედებას ხალხთა ამ საერთო აღრეულობისა და აჯანყების დროს, ნათლად დავინახავთ, რომ ნებისყოფა, და ფიქრი, გრძნობანი და განცდანი შესმენილის პიროვნებისა, ისეთის პიროვნებისა, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ხალხზე ზრუნვაში გაუტარებია დაჩრდილულია, უკან ჩამოყენებული, და იწყებულია და მისი ადგილი დაუჭერია გაფანატიკოსებულსა, გაავზნებულსა, გაიდგულებულსა და ყოველივეს შემმუსვრელ სტიქიონს—ღელვას მასსისას, ბრბოისას.

ეს კიდევ ცოტაა!

ინგრევა ნადგურდება, ილეწება და იმსხვრევა საუკუნოებით შექმნილი სჯული და კანონები, სამართალი და წესი ცხოვრებისა და აღარავის ახსოვს არც პლატონი და არც სოკრატი, არც საკიამუნი და არც ქრისტე, არც ჟან-ჟაკ—რუსსო და არც დიდრო, არც შექსპირი და არც დანტე, არც შოთა და არც ილია... დღეს ქვეყნის მხნელად ითვლება ის, ვინც აჰყოლია მასსას, ვინც გათქვეფილა ამ მასსაში, ვისაც ხალხი, მასსა, კი არ აუყვანია ღვთაებამდე, არამედ თითონ ჩამოსულა ბრბოის გულისთქმამდე და ოსტატურად სარგებლობს ამ გულსთქმით.

რობესპიერი და მარატი, ჟირონდისტები და მონტანიარები—აი ვინ იყვნენ ხელმძღვანელნი საფრანგეთის დიდი რევოლუციისა.

„მენშევიკები, ბოლშევიკები და მათი მაჩანჩალა ჩვენებური “სოციალისტები„ აი, ვინ არიან სულის ჩამდგმელნი დღევანდელი, ეგრედ წოდებულ რუსეთის დიდი რევოლუციისა!..

მაგრამ როგორც ყოველიფერს ქვეყნად, რევოლუციასაც აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული!

ზღვა მუდამ ვერ იბობოქრებს, ერთხელაც არის უნდა გაჩერდეს დაწყნარდეს და გამოცდილი მეზღვაური კვლავ განაგრძობს თავის გზას ნავთსადგურისაკენ.

ცხოვრებაც ზღვაა, ადამიანი, შესმენილი პიროვნება კი გამოცდილი მეზღვაური და, როცა ჩადგება ხოლმე ღელვა ცხოვრებისა, ე. ი. რევოლუცია, ადამიანი იგი კვლავ იწყებს აღმშენებლობითი მუშაობას, შეფასებას წარსულისასა და აწმყოისას, შეკეთებას ნანგრევებისას და აგებას ახალის შენობებისას...

ჩამოდიან კვარცხლბეკიდან რობესპიერები და მარატები, ხალხი, ერი, მასსა გონს მოდის, ფხიზლდება და ყოველგვარი პარტიული ცხოვრება ადგილს უთმობს ხოლმე ეროვნება—ინდივიდუალურ განვითარებას...

რუსეთის დიდი რევოლუცია არ იყო ჩვენთვის,—ქართველებისათვის—ეროვნული რევოლუცია ესე იგი დღევანდელი ნგრევა არ იყო შედეგი საქართველოს ეკონომიურ ვითარებისა, არ იყო ქართველურ-ხალხოსნური, საქართველოს აღმშენებლობითი ენერგიით გამოწვეული. ასთ ვრამეტი წლის მონურმა ცხოვრებამ რუსეთის ხელში ჩვენ მხოლოდ მიგვატმასნა,-მიგვაკერა რუსეთის აღრეულობას და ვით ამღელვარებული ზღვა გადალახავს ხოლმე ამ ზღვაში ჩამოვალ მდინარეთა კიდეებს, ისე რუსეთის აჯანყებამ გადალახა საქართველოს მიდამოც და უცხონი უცხოთა შორის, აკი, გარიყულნიც დავრჩით. არც ერთი ლოზუნგი რუსეთის აღრეულობისა არ გამართლდა, არც ერთი მოძღვრება სხვის ჭკუით და თვალებით მოაზროვნე და მაყურებელი ჩვენებური „სოციალისტებისა“ არ განხორციელდა და არც განხორციელდება, ვიდრე საქართველო არ შესდგება თავის ისტორიულ გზაზე და არ დაიწყებს ეროვნულ-თვითაღმშენებლობითი ცხოვრებას...

ეს კარგათ იცოდენ ჩვენმა ეროვნულმა მოღვაწეებმა, ეს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის ჭირისუფალთ და ამიტომაც ქადაგებდენ: „შეიძლება დიდებული იყოს რუსეთი, შეიძლება საწუთო მოქმედი იყოს მთელი ქვეყნისა პროლეტარიატიც, „მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენ თავს უნდა ვეყრდნობოდეთო.“

რუსეთის ვერაგ პოლიტიკით გამოთაყვანებულ ქართველ მასსას და ამ მასსაში გათქვეფილ დღეს მომქმედ გარუსებულ, თუ გადაგვარებულ მოღვაწეთა დიდი უმრავლესობის უცხო ჰანგზე ყეფნამ დაჰფარა ქართველ შეგნებულ პიროვნებათა ანდერძი და ეს მეორე წელიწადია საქართველო გადაიქცა ასპარეზად ნამდვილ რუსულის მოძრაობისა... მაგრამ რაკი ეს მოძრაობა არ იყო ჩვენთვის—ქართველებისათვის, მშობლიური, ეროვნული, რაკი ეს იყო მხოლოდ ერთი ტალღა რუსული „პუგაჩოვშინისა,“ საქართველო იძულებული შეიქმნა თავისი თავი დამოუკიდებლად გამოეცხადებინა. ესე იგი, იძულებული შეიქმნა დაეღწია თავი არა ბუნებრივ მოძრაობისათვის და შესდგომოდა თავის საკუთარ ისტორიულ ცხოვრებას...

აქედან იწყება ახალი ისტორიული ხანა საქართველოს ყოფნისა და აქვე ეღება ბოლო რუსეთის ზეგავლენასაც. და რამდენიც არ უნდა იფაფხურონ საქართველოს „ჟირონდისტებმა და მონტანიარებმა“ იძულებულნი გახდებიან ქედი მოიხარონ ქართველი ერის შემოქმედების წინაშე, უკუაგდონ ყოველივე ფანატიკოსობა და აღიმაღლონ ქართულის ინდივიდუალობა, ქართველის კაცის პიროვნება და ბუნებრივობა...

მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიქმნება საქართველო ღირსეულ წევრად კაცობრიობისა, ვინაიდგან იგი აღარ იქმნება შთანთქმული „მსოფლიო ბრბოისაგან.“

ია ეკალაძე.

## სტუმრები სტამბოლიდან.

გუშინ, 30 ივლისს, ქართველ კათოლიკეთა აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელის ბ-ნ კ. საააძის თანახლებით ჩვენს რედაქციას ეწვივნენ: სტამბოლის კათოლიკე ქართველთა მონასტრის გამგე მღვდელი შალვა ვარდიძე და ოსმალეთის ქართველ-კათოლიკეთა წარმომადგენელი პროფესორი სიმონ გოზალიშვილი...

ბევრი რამ საგულისხმო გვიამბეს პატივცემულმა სტუმრებმა, მაგრამ ყველაზე საყურადღებო და სასიხარულო ის არის, რომ მათ ჰქონიათ ფრიად დიდი დავალება ოსმალეთის ქართველ-კათოლიკეთაგან: როგორმე დაითანხმონ აქაური ქართველი კათოლიკენი, რომ მათ ეკლესიებში აღდგენილ იქმნეს ქართული ტიბიკონი.

მკითხველებს უნდა მოეხსენებოდეთ, რომ ქართველ კათოლიკეთა ტიპიკონი არაფრით არ განსხვავდება ქართველ მართლმადიდებელთა ტიბიკონიდან და ამ ტიბიკონის შემოღება სამუდამოდ დაიხსნის ქართველ კათოლიკეებს გადაგვარებისა და გადაშენებისაგან. ამ ტიბიკონის შემოღება ბოლოს მოუღებს ქართველ კათოლიკეთა გასომხებას, რასაც ასე ესწრაფვიან ჩვენებური სომხები და რომელმა მისწრაფებამაც არა ერთხს და ორს ქართველ კათოლიკეთა სოფელს დააკარგვინა თავისი ეროვნება...

ვისაც წაუკითხავს [illegible] მიქელ თამარაშვილის გამოკვლევანი ქართველ კათოლიკეთა შესახებ, ვინც დაჰკვირვებია ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებასა და მათ გამათლებულ მღვდლების სურვილს, ვინც იცის ის დევნა და შეურაცყოფა, რომელსაც აყენებდენ ქართველ კათოლიკეებს სომხის ტიბიკონის სომეხი-კათოლიკენი და მათი მოძღვრები, იმას ისიც ეცოდინება, თუ როგორის ნეტარებით მოელოდენ ქართველი კათოლიკენი იმ დროს, როცა შეძლება მიეცემოდათ ქართული ტიბიკონის აღდგენისა.

ამ მხრივ ბევრსა სცდილობდენ ევროპაში მყოფი ქართველი პატრები, სტამბოლის კათოლიკე-ქართველობა და არა ერთი და ორი შუამდგომლობაც აღძრავთ პაპის წინაშე, მაგრამ ერთის მხრით რუსეთის ზეგავლენით და მეორეს მხრივ სომეხ-კათოლიკეთა მახინაციების წყალობის, მათი სურვილი ყოველთვის აუსრულებელი რჩებოდა.

მაგრამ, აი, დაიწყო რუსეთის რევოლუცია, დაინგრა რუსეთი და მისი მთავრობა და თითქო დადგა დრო ნატვრის ალსრულებისა, მაგრამ მყისვე დატრიალდენ პროვოკატორები, გამოჩნდენ ისეთი კათოლიკე ქართველი მღვდლებიც, რომელთაც ადგილის დაკარგვისა შეეშინდათ და ქართველ კათოლიკეებს უცნაური გადაწყვეტილება გამოატანინეს:

„ძველი ქართული ტიბიკონის აღდგენა ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიაში—გამართმადიდებლობას უდრისო და ამიტომ ლათინური წესი ქართულად გადმოვთარგმნოთო...“

ასეთი დადგენილება უცნაურიც არის და უკანონოც... ჯერ ერთი გადმოთარგმნა ლათინურის წირვისა ეწინააღმდეგება თვით ლათინთა სურვილს და მეორეც ერთი, რასაჭიროა თარგმნა, როცა საკუთარი ტიბიკონი იქვე არსებობს. მაგრამ რაკი წირვის წესები იგივეა, როგორც მართლმადიდებელ ქართველებსა აქვთ, ბოროტმა სულებმა ისარგებლეს ამით და ქართველი კათოლიკენი დააშინეს. ის კი ავიწყდებათ, რომ მნიშვნელობა აქვს არა გარეგან წესებს, არამედ დოღმებს და დოღმები კი ისევ კათოლიკე ეკლესიისა რჩება.

პირჯვრის წერა, სკამები, ორღანი, კოვზით ზიარება, თუ კანკელის მოწყობილება — ეს მხოლოდ გარეგნობაა. მორწმუნეებს შეუძლიათ ისე მოაწყონ თავისი ეკლესია, როგორც იმათა სურთ და, მაშასადამე, —ამ მხრივ არაფერი გადარჯულება და გადაგვარება არ მოელით ქართველ კათოლიკეთ, სამაგიეროდ, ქართული ტიბიკონის შემოღებით იგინი სამუდამოდ თავისუფლდებიან სომხთა დევნისაგან და ხდებიან ღირსეულ წევრად რომის კათოლიკე ეკლესიისა, როგორც ქართველები...

ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ძველ ქართულ ტიბიკონის აღდგენას ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში და მართლა მტერი უნდა იყოს თავისი ქვეყნის და მრევლისა ის კათოლიკე ქართველი მღვდელი თუ ერის კაცი, რომელიც დღეს [illegible] დღეს არ ისარგებლებს [illegible] არ აღადგენს ქართულ ტიბიკონს.

დროა დაისვენოს ქართველმა კათოლიკემ და ევედროს ღმერთს იმ წესით, როგორითაც ევედრებოდენ მისი მამა-პაპანი..

რომში უკვე შესდგა ახალი კონგრეგაცია, რომლის მდივნად დაინიშნა სტამბოლელი ბერძენი კათოლიკე იზაია პაპადოპულო, კაცი დიდად განათლებული და თანამგრძნობი ქართველ კათოლიკეთა. ქართველ კათოლიკეთა თანამგრძნობი პაპის ელჩი დოლჩიც და დიდი დანაშაული იქნება ქართველ კათოლიკეთა წინაშე, რომ მისმა მესვეურებმა შემთხვევა ხელიდან გაუშვან და არ აღადგინონ ქართული ტიბიკონი...

ი. ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო.

## საქართველოს საზავო დელეგაცია.

საქართველოს რესპუბლიკის საზავო დელეგაციიდან, რომელიც კონსტანტინეპოლს იყო წასული, ამასწინ თბილისში ერთი წევრთაგანი დაბრუნდა. როგორც მისი სიტყვებიდან სჩანს, ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ ყოფილა, სად გაიმართება კონფერენცია, ბერლინში თუ კონსტანტინეპოლში. ყოველს შემთხვევაში უეჭველია, რომ არსებითად ყველაფერი გერმანიის სატახტო ქალაქში გადასწყდება. ჩვენკენი კონსტანტინეპოლში არ ჩასულა, მხოლოდ დელეგაციისთვის შეუტყობინებია, რომ მოლაპარაკება გერმანიის მთავრობასთან ნორმალურად მიდის; ამასთანავე მას ბერლინში გაუწვევია ევგ. გეგეჭკორი.

## მოლაპარაკება კავკავში.

1 აგვისტოს გაიხსნება თერგისა და საქართველოს მთავრობათა წარმომადგენლების მოლაპარაკება ულტიმატუმის ცხოვრებაში გასატარებლად, რომელიც საქართველომ წარუდგინა თერგის მთავრობას და უკანასკნელმა დააკმაყოფილა. უნდა მოწესრიგდეს აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზაზე სურსათ სანოვაგის გადაზიდვის საკითხი.

## მთავრობის მოქმედება.

მთავრობამ დაადგინა: 1) გამოაცხადოს საქართველოს ტერიტორიაზე პურისა და სიმინდის თავისუფალი ვაჭრობის უფლება ბორჩალოს მაზრის გამოკლებით. 2) საზღვარ გარეთიდან პურის მარცვლის უფასოთ შემოტანა აკრძალულია. 2) ყველა სასურსათო კომიტეტები: გუბერნიის, საოლქო, სამაზრო სასოფლო, დღიდან ამ დადგენილების გამოცხადებისა გაუქმებული უნდა იქმნენ და უფლება არ ექნებათ რაიმე დადგენილების გამოცემისა. 4) სასურსათო სამინისტროს მიენდო ერთი თვის განმავლობაში გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა და სხვა კომიტეტების ერთი კვირის განმავლობაში ლიკვიდაცია. 5) შინაგან საქმეთა და სასურსათო მინისტრებს მიენდო ენერგიული ზომები მიიღონ სპეკულიაციისა და გადამალულ საქონელთან საბრძოლველად. გადამალული საქონელი ჩამოართვან და დამნაშავეები პასუხისგებაში მისცენ. 6) შინაგან საქმეთა, გზათა მიმოსვლის და სასურსათო მინისტრებს დაევალათ მიიღონ ზომები ამ დადგენილების დაჩქარებით ცხოვრებაში გასატარებლად. 7) სასურსათო სამინისტროს დაევალა ყოველდღიური საქონლის გაყიდვის შესახებ შეიმუშაოს პროექტი და მთავრობის სხდომაზე წარმოადგინოს.

## ტუაპსეს აღება.

**გენერ. მაზნიაშვილის დეპეშა.**

27 ივლისს, საღამოთი, სამხედრო მინისტრის სახელზე გენერალ მაზნიაშვილისაგან შემდეგი დეპეშა მოვიდა.

„გაცნობებთ, რომ 26 ივლისს, 20 საათზე, ჩემმა ჯარმა 12 საათის ცხარე ბრძოლის შემდეგ აიღო ქ. ტუაფსე. მოპირდაპირე სასტიკად გვეწინააღმდეგებოდა; ყოველივე ნაბიჯის აღებაც კი ბრძოლით გვიხდებოდა. მრავალი ტყვეები წამოვიყვანეთ, წავართვით 4 ზარბაზანი, 12 ტყვიისმფრქვეველი, აურიცხველი საბრძოლო მასალა და ტყვიები სხვადასხვა ზომის ხიშტებით, ავტომობილები, 5 ორთქმავალი ვაგონებით და უამრავი საინტენდანტო ქონება. დანარჩენი ნადავლი იოყვება. ჩვენი დანაკლისი მცირეა. არტილერიის მარჯვე მოქმედების გამო მხოლოდ ერთი მეომარი დაგვიჭირეს და ერთი მოგვიკლეს. მსუბუქად დაჭრილთა შორის არიან მესამე ქართული პოლკის შტ.-კაპიტანი დოლაბერიძე და წითელ-გვარდიელი პორუჩიკი ნოვიკოვი. მოწინააღმდეგე, რიცხვით 1.200 კაცი, ჯავშნიანი ვაგონებით და ავტომობილებით არმავირის მხრისაკენ გაიქცა. გატყობინებთ რა ყოველივე ამას, ვშუამდგომლობ დააჯილდოვოთ: პოლკოვნიკი ამირეჯიბი გენერალ მაიორის ხარისხით; მეექვსე ბატარეის უფროსი კაპიტანი იაშვილი—პოდპოლკოვნიკის ხარისხით და 1-ლი ბატარეის უფროსი შტ. კაპიტანი ქუთათელაძე—კაპიტანის ხარისხით №979“.

**სამხედრო მინისტრის პასუხი.**

სამხედრო მინისტრმა 28 ივლისს გენერ. მაზნიაშვილს შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა:

„რესპუბლიკის ერთგული სამსახურისა და გმირული მოქმედებისათვის თქვენს მეომრებს გადაეცით მადლობა. პოლკოვნიკ ამირაჯიბს ვუბოძებ გენერალ მაიორობას; მეექვსე ბატარეის უფროსს კაპიტან იაშვილს—პოდპოლკოვნიკობას და პირველ ბატარეის უფროსს შტ. კაპიტან ქუთათელაძეს კაპიტანის ხარისხით. №3489“.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე.

სწორია: სამხედრო სამინისტროს კანცელარიის განყოფილების უფროსი გიორგაძე.

## საქართველოს რკინის გზა.

**ნაციონალიზაციის შესახებ.**

რკინის გზების მთავარი კომიტეტმა, პრინციპიალურათ საჭიროთ სცნო დაწესებულებების ნაციონალიზაცია, მაგრამ ამასთანავე საჭიროთ დაინახა, რომ ეს ნაციონალიზაცია მოხდეს თანდათანობით და უმტკივნეულოთ, როგორც თვითონ მოსამსახურეებისათვის, ისე რესპუბლიკისათვისაც. ყოველ შემთხვევაში რკინის გზაზე დაუყოვნებლივ ქართულის სახელმწიფო ენათ გამოცხადებას, როგორც ამას დაჩქარებით თხოულობენ ნაციონალისტები და ზოგიერთი ჯგუფები.

ამასთანავე ერთად მთავარ-კომიტეტმა წინადადება მისცა გზის ადმინისტრაციას აღარ მიიღოს სამსახურში ქართული არამცოდნე პირები. ეს განკარგულება არ შეეხება მუშებს.

**საქართველოს რესპუბლიკის ჯავშნიან მატარებლების უფროსის ბრძანება.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მომანდო რკინის გზისა და რევოლუციონერ წესრიგის დაცვა, როგორც ჯავშნიან მატარებლების უფროსს და სამხრეთის ლიანდაგის კომენდანტს, ამიტომ ვუბრძანებ ყველა ჯავშნიან მატარებლების უფროსებს და რკინის გზის მცველებს, რომ ყველა რკინის გზაზე მოსამსახურეები და მგზავრები, ვინც ექვსი ვერსის საგანით რკინის გზის ლიანდაგზე ცეცხლით მსროლელ იარაღს ატარებენ, რომელსაც არა აქვთ ნება დაურთველად შესაფერ ორგანოებიდან, და აგრეთვე რკინის გზისა და ტელეგრაფის მავთულის გამფუჭებლებს, დაუყოვნებლივ დაატყვევონ და წარმომადგინონ ამ დამნაშავეების სამხედრო-რევოლუციონურ ტრიბუნალზე გადასაცემათ. ყველა ხელქვეით მოსამსახურეებს ვურჩევ ფრთხილათ და სასტიკათ ადევნონ თვალყური ამ ბრძანების შესრულებას.

## სომხეთის დიპლომატიური მისია.

ივლისის 26-ს სომხეთის რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა ინახულეს გერმანეთის დელეგაციის უფროსი ფონ-კრესსი, რომელსაც ხანგრძლივი კამათის დროს შეეხო ლტოლვილთა და სხვა საკითხებს.

29 ივლისს გენერალი ფონ-კრესსი ერევანს უნდა გამგზავრებულიყო, რომელსაც თან გაჰყვებოდნენ გერმანიის რამდენიმე ოფიცერი. ფონ-კრესსი ინახულებს სომხეთის მთავრობას.

25 ივლისს სომხეთის წარმომადგენელმა ინახულა მინისტრი რამიშვილი, რომელმაც სხვათა შორის სთხოვა, რომ ლტოლვილებისთვის დახმარება აღმოუჩინათ. მინისტრი მას ყოველგვარ დახმარებას შეპირდა.

## ბრძოლა ბოლშევიკებთან ლეჩხუმში.

(დეპეშა)

ხრესილი. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა დაიკავა ს. ლეყერეთი და ს. მურისი. პორუჩიკ კვეზერელმა მედგარი შეტევის შემდეგ გადალახა მდინარე და დაიკავა ლეხიდრის თავის სამხრეთის ნაწილის სიმაღლე მოწინააღმდეგეების ძალა 600 კაცს აღემატებოდა.

მთელ ფრონტზე განუწყვეტელი საარტილერიო და თოფების სროლაა. პორუჩიკ კვეზერელი და როტმისტრი წულუკიძე შეუჩერებლივ წინმიიწევენ. არტილერიამ გაისროლა 39 ყუმბარა მოწინააღმდეგის [illegible] წინააღმდეგობას გაგვიწია.

შუა[illegible] ბრძანებ[illegible] სიმაღლე[illegible] შეჩერდა გზა და გზა მტრის რაზმს მოუკლით 24 კაცი, ჩვენის მხრით დისჭრეს 2 კაცი. ჩვენმა არტილერიამ მტრის არტილერია გააჩუმა. ტყვეთ ჩავვივარდა ბანდების სამი მეთაური. მათ თავიანთი ვინაობის გამომჟღავნებაზე უარი განაცხადეს რის შემდეგ სამივე დახვრიტეს.

იფქოფი.

# უცხოეთი.

## მირბახის მოკვლა.

ბერლინი. თანდათან ირკვევა რომ გრაფ მირბახის მოკვლა დაკავშირებულია მოსკოვსა და სხვა ქალაქებში მომხდარ არეულობასთან: ორივეს მიზანი ერთი იყო გერმანიასთან ომის განახლება. ივლისის 6 ს, ნაშუადღევს, გრაფ მირბახს დაეცნენ; თითქმის იმავე დროს, იმავე საათს, მოხდა აჯანყება იაროსლავში მოვიდნენ სერბელი მაიორი და ორი სხვა ოფიცერი მოკავშირე სახელმწიფოებისა. ივლისის 6 ს შუადღეზე ვოლოგდიდან 160 კაცი მოვიდა ეგრედწოდებული „ჩოდილოეთის მოხალისენი“. აჯანყებულ თეთრ-რაზმიელებს იაროსლავში მოკავშირეთა აგენტმა შეატყობინა—შეგიძლიათ ბრძოლა დაიწყოთ, ძლიერი სამხედრო ტრანსპორტები უკვე გზაში არის და ჩრდილოეთიდან იაროსლავში მოდისო. შემდეგ დღეებში, ბრძოლის დროს, თეთრი—რაზმიელების შტაბმა იაროსლავში ოფიციალურად გამოაცხადა გერმანიასთან საომარ დამოკიდებულებაში ვართო—და დაატყვევა იქ მყოფი 2000 გერმანელი სამხედრო ტყვე და მათი მზრუნველი კომისია. როდესაც თეთრი რაზმი დარწმუნდა, რომ საქმე წაგებული იყო, მან გადასცა იარაღი გერმანელ სალდათს, ოფიცერ ლეიტენანტს ბალკს, თვითონ ტყვედ გადაეცა გერმანელებს, რომელთაც ისინი საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში გადასცეს.

მურავიოვის ავანტიურას ივლისის 8-ს ჰქონდა ადგილი. მურავიოვი საბჭოთა ჯარის მთავარ-სარდლად იყო და ჩეხოსლოვაკების წინააღმდეგ უნდა ებრძოლა. იგი ცნობილი ავანტიურისტი და მექრთამე იყო. მოკავშირეთა აგენტებმა იგი მოისყიდეს. მურავიოვი პროპაგანდას ეწევა ხალხში და მოუწოდებს არამც თუ ჩეხო-სლოვაკებს შეერთებოდენ, არამედ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლა გაეჩაღებინათ: აქვე მიზნად დასახული იყო მირბახის მოკვლა. რასაკვირველია, ყველა ამ ხერხის მიზანი იყო ბოლშევიკების მთავრობა ჩამოეგდოთ და ხალხში გერმანიისადმი შუღლი გაეღვივებინათ, რათა მასთან ომი განეახლებიათ სხვადასხვა ადგილას მაგრამ ერთსა და იმავე დროს არეულობის მოწყობა მოწმობს იმას, რომ ყველაფერ ამას გამოცდილი ხელმძღვანელები მეთაურობდნენ.

## რუსეთი.

**გერმანელების ახალი ელჩი.**

მოსკოვში გერმანეთის ელჩად მირბახის ნაცვლად დაინიშნა ბ-ნი გელფერიხი.

**დაპატიმრება.**

პეტროგრადში დაპატიმრეს დროებითი მთავრობის მესამე არმიის ყოფილი კომისარი პოლკოვნიკი პ. ა. კოსტანიკოვი.

**შიმშილობა პეტროგრადში.**

პეტროგრადში პურის უქონლობის გამო სასურსათო კომიტეტი მომხმარებლებს დღეში ნახევარ გირვანქა კარტოფილს ურიგებს. სასურსათო კომიტეტის განცხადებით პურის მიღების იმედი არ არის, რადგანაც ურალში და სამხრეთ ციმბირში სამხედრო მოქმედება დაიწყო და აგრეთვე ვორონეჟის გუბერნიაში გერმანელებმა შეტევა დაიწყეს.

**რომ ნოვთა ბედი.**

პერმში მიიყვანეს ყოფილი დედოფალი მარიამ თევდორეს ასული და ორი მისი ასული ოლღა და ტატიანა. ცნობები იმის შესახებ თუ მეფის მემკვიდრე სად იმყოფება არ არის. როგორც ამბობენ იგი მძიმე ავად უნდა იყოს და სიკვდილის კარზე სდგას.

## ციმბირში.

„კიევსკაია მისლი“ სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება მდ. ვოლგაზე და ურალზე ჩეხო სლოვაკებსა და ბოლშევიკებს შორის, რამდენიმე დღის განმავლობაში ბრძოლა გრძელდებოდა ვოლგის მიდამოებში მიმდინარე ჩეხო-სლოვაკების რაზმი სიზრანიდან ორი მიმართულებით წარმოებს შეტევას სარატოვზე და პენზაზე. შეტევა ძლიერი ხასიათის არის და მიზნათ აქვს ბოლშევიკების შეჩერებით ოლგაზე ხიდები შეაკეთონ და შეამაგრონ. სარატოვზე გალაშქრებას სხვა მიზანიც აქვს, სახელდობრ ის რომ გასწყვიტონ დამოკიდებულება ბოლშევიკებისა პეტროგრად-ცარიცინ-ასტრახანის შორის. ურალის ჩეხო-სლოვაკები ამ ბოლოდროს აწარმოებენ თავდაცვითი ომს, ბოლშევიკები უფაზე და ზლატოუსტზე შეტევას აწარმოებენ. ორივ მიმართულებით ბოლშევიკებმა შესძლეს დაეკავებიათ რამდენიმე მეორე ხარისხოვან მნიშვნელობის პუნქტები. აღმოსავლეთით ეკატერინბურგის რაიონში და კამიშლოვ ჩეხო-სლოვაკებსა და საბჭოს ჯარებ შორის რამდენიმე დღეა რაც ბრძოლა გრძელდება გადამწყვეტ შედეგს ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. აღმოსავლეთ ციმბირიდან იტყობინებიან, რომ ჩეხოსლოვაკელებისა და იაპონის ჯარების მიერ მნიშვნელოვან პუნქტების დაჭერის გამო წესიერება და მშვიდობიანობა დამყარდა.

როგორც გადმოგვცემენ შეთანხმების სახელმწიფონი, შეთანხმდენ ციმბირში მათი გამოსვლის ფორმის შესახებ. შინაურ და საგარეო საქმეთა პოლიტიკის ხელმძღვანელობა შეერთებულ შტატებს ევალება, ხოლო სტრატეგიის საქმე კი იაპონიას.

# ახალი ამბავი

**ქუთაისი.**

**დელეგაციის წევრთა დაბრუნება.** შაბათს ივლისის 27 ბათომიდან სასწრაფო მატარებლით სტამბოლიდან თბილისს დაბრუნდა სტამბოლის კონფერენციის წევრი გენერალი ოდიშელიძე. ამავე მატარებლით დაბრუნდენ აზერბეიჯანის რესპუბლიკის დელეგაციის წევრები, რომელთაც თან მოჰყვა ოსმალეთის პოლკოვნიკი ბეგიჩ-ბეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ **საერობო არჩევნები სენაკის მაზრაში.** სენაკის საზრაში საერობო არჩევნები 4 აგვისტოსათვის გადაიდო.

✦ **სასულიერო კონცერტი.** სამიტროპოლიტო საბჭოს წევრმა თ. ხუსკივაძემ გადმოგვცა, რომ ამ მოკლე ხანში არავითარი სასულიერო კონცერტი არ გაიმართება, რადგანაც ეკლესია მგლოვიარეთ იმყოფება.

✦ **კრება.** ხუთშაბათს აგვისტოს საღამოს 7 საათზე კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია დასავლეთ-საქართველოს მთავრობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში მოსამსახურე პირთა კავშირთა-კავშირის საბჭოს მორიგი სხდომა. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1 მოხსენება აღმოსავლეთ-საქართველოს მოხელეთა კავშირთა-კავშირის შესახებ; 2. საგა-მომცემელო ფონდის დაარსება და მიმდინარე საკითხები.

✦ **ტყის ექსპლოატაციის შესახებ.** ქუთაისის გუბერნიის საადგილ მამულო კომიტეტმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, რათა მან წარმოადგინოს სამეურნეო გეგმა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ აეკრძალებათ იმ ტყის ექსპლოატაცია, რომელიც მათ უნდა მოახდინონ საღორიის ტყეში.

✦ **მეურმეების დაჯარიმება.** გუშინ ივლისის 30-ს ქუთაისის გუბ. საადგილმამულო გამგეობამ დაიჭირა მეურმეები, რომლებსაც გასასყიდლათ გამოეტანათ ანანოვის ტყიდან ახლათ მოჭრილი, ხეტყის მასალა ისინი გამგეობამ დააკავა და არსებულ საჯარიმო ნიხრის მიხედვით. ჯარიმა გადაახდევინა.

✦ **აჭარლების განთავისუფლება.** საგუბერნიო ციხიდან განათავისუფლეს აჭარელი დიასამიძეები, რომელნიც დღეს ბათომით ქედაში მიემგზავრებიან. ისინი ბათომის აღების შემდეგ ბათომის ციხიდან ქუთაისის ციხეში გადმოიყვანეს. როგორც გადმოგვცეს ციხეში კი დევ ყოფილან აჭარლები, რომელთაც ამ დღეებში გაანთავისუფლებენ.

✦ **მატარებლების მიმოსვლის შესახებ.** მთავრობის განკარგულების თანახმად საბარგო მატარებლების მიმოსვლა შემცირებული არ იქნება. გზათა მინისტრის მიერ ზომებია მიღებული, რათა სამგზავრო მატარებლების მიმოსვლაც არ იქმნეს შემცირებული. აგრეთვე ზომებია მიღებული ავტომობილებით ფოსტის გადატანის მოწყობის შესახებ, რის გამო შეკეთებული იქნება ყველა საჭირო გზები.

✦ **სისხლის სამართლის მილიციაში.** ივლისის 30-ს ქუთაისში დააკავეს ს. დიმის მცხოვრები ჭუმბაძე, რომელსაც ქ. ხაშურში მოუპარავს ტყავეულობა და გასაყიდლათ წამოუღია ქუთაისში. იგი აქ შეიპყრეს და ციხეში მოათავსეს ამ დღებში შეიპყრეს და საგუბერნიო ციხეში მოათავსეს სერგი იაკობისძე კლემანჩუნგი, რომელსაც მოუპარავს ზ. დანელიის მაღაზიიდან საფულე 11500 მანეთით ოქროს ბეჭედი და „ტალონი“. კლემენჩენგი დანაშაულში გამოტყდა. გამომძიებელს. ოქმი გადააცა.

✦ ივანე კარასევს მდ. რიონში ბანაობის დროს მოპარეს ტანსაცმელი და აგრეთვე საათი.

ივლისის 30-ს ფხაკაძის რაზმელმა მსუბუქათ დასჭრა სტ. ჩიქოვანი.

## საქართველოს ხახულის მონასტერი

(დასასრული იხ. „ჩვ. ქვ.“ № 136).

მონასტრის უკან ნახავთ შესავალს კატაკომბებში როგორც იქაური მცხოვრებლები ამბობენ იქ არის მრავალი აკლდამები.

თერთმეტი წლის წინად აქ მოსულა არზრუმიდან ერთი პროფესორი ბერლინის უნივერსიტეტისა ბელკა. ამას მოუყვანია ინგლისის და გერმანეთს კონსულები. ისინი შესულან ამ კომბებში და გამოუტანიათ უზარმაზარი ძვლები ძველი კაცებისა და წაუღიათ არზუმში.

ეჭვი არ არის, რომ ეგ ძვლები საინტერესო ყოფილა გერმანელ პროფესორისათვის არა თუ ანატომიის, არამედ ისტორიის მხრივაც შეიძლება ეგ ძვლები ეკუთვნოდა რომელიმე ქართველ მხედართ მთავარს, ან თითონ საქართველოს მეფეს დავით, ორმოც და მერვეს, რადგანაც ამ მეფისაგან არის წარწერილი ერთ სვეტის თავზედ, რომ აღშენება ამ მონასტრისა ეკუთვნის მას.

დიდ მშვენიერებას წარმოადგენს ბოძები, დერეფნებისა რომლებითაც ძრიელ მდიდარია ხახულის მონასტერი.

საქრისტიანო სასაფლაო არსაიდან არა სჩანს. ეს იმას ნიშნავს, რომ ალბათ ყველა მკვდრებს ასაფლავებდნენ აკლდამებში, იმ ირგლივ მონასტერის შენობები განადგურებულია იმ დროს, როდესაც ეგ წმინდა ადგილი დაიპყრო მაღმეტ მეოთხემ ჩვიდმეტ საუკუნის ნახევარში.

პატივცემული საქართველოს არხეოლოგი ბატონი დ. ბაქრაძე ამტკიცებს, რომ ხახულის ღვთის მშობლის ხატი გამოტანილია იმ ტაძრიდან, რომელიც აღაშენა მეფე დავით ორმოცდა მერვემო. თითონ ტაძარში ეხლაც არის მშვენიერი ბაქანა, სადაც იყო დასვენებული ეგ ხატი. ამას ამტკიცებს ბატონიშვილი ვახუშტიც. ეხლა ეგ ხატი ასვენია გელათის მონასტერში.

ასე თუ ისე ხახულის მონასტერი ეკუთვნის იმ დროს, როდესაც იყო საქართველოში აღყვავილებული ქართველების ხელოვნება (9—12 საუკუნე).

ხახულის ღვთის მშობლის ხატი დაამშვენიერა თვალ-მარგალიტით თამარ მეფემ (1203 წელში) შემდგომ ძლევისა აბუ ბექროზედ. ამ მშვენიერებაში დიდი მონაწილეობა მიიღეს მეფე დავით აღმაშენებელმა და მისმა მემკვიდრემ დიმიტრი პირველმა. მატიანე „ქართლის ცხოვრებისა“ ამბობს, რომ ანდრია პირველ წოდებული მოციქული შემოვიდა ტრაპეზონიდან ხახულის სოფელში, მოაქცია იქაური მცხოვრები ქრისტიანობაში და დაუტოვა პირი ხალკოპრატიის ღვთის მშობლის, რომელიც, მოთხრობის თქმით, დახატული იყო ლუკა მახარებელისაგან.

1854 წელში ხახულის მონასტერი ინახულა სომხეთის, ისტორიკოსმა ნერსეს სარქისიანცმა. ისინი აწერილობა და წარწერილობა ამ მონასტრისა და ძველის ნაშთენებისა თორთუმის და ისპირის მაზრებში გამოსცა შემდეგ საფრანგეთის აკადემისტმა ბროსსემ. ორი ნახატი ხახულის სობოროსი მოთავსებულია პროფესორი ი. ჯავახიშვილისაგან თავის საქართველოს ისტორიაში.

ეტნოგრაფიის მხრით ხახულის მაზრა წარმოადგენს დიდ ინტერესებს. აქაური ალაგი, როგორც ცნობილია, შეადგენდა ნაწილს „ესპირი საქართველოს“, ესე იგი დასავლეთ საქართველოს ნაწილს. ეხლანდელი სიტყვა ისპირი წარმომდგარია ქართულის სიტყვიდან: „ეს პირი“, ესე იგი „ამ მხრით“. ეხლა ხახულში ლაპარაკობენ თათრულ ენაზე, მაგრამ არიან რამოდენიმე მოხუცი კაცები, რომელნიც ძველად ხმარობდნენ ქართულ ენას. თითონ ეხლანდელ მათ თათრულ ენაში მოგესმის მრავალი ქართული სიტყვები. პირის სახითაც. ხახულის სოფლის მცხოვრები უმეტეს მიაგავენ ქართველებსა, ვინემ თათრებსა.

ოდესმე აქაური თათრები იყვნენ ქრისტიანები და ეკუთვნოდნენ ქართველების ტომსა ეს იმისაგან სჩანს რომ ისინი არიან ჩამომავლები იმ ქართველებისა, რომელნიც გამოიქცნენ ტაოში (ტაოსკარი), რადგანაც მათ დაუწყო დევნა ქათალიკოსმა მოსემ, როგორც მოწინააღმდეგე ხალკიდონის კრებისა.

თითონ ხახულის მცხოვრებლები გაირჩევიან გმირული პატიოსნებით, სიმართლის მთქმელობით და სტუმრის მოყვარეობით. თუმცაღა დიდი ზარალი მისცა მათ ამ ომმა, მაგრამ ისინი დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ, განსაკუთრებით აფიცრებს. აი ერთი ღეკანოზის სიტყვა ამ ხალხზე: „მართლა ეგ ხალხი ასრულებენ ქრისტიანული იდეალს“.

როდესაც პორუჩიკმა ბატონ ბუგუროვმა შევიდა ხახულის მონასტერში მიწმენდ მოსაწმენდათ, ყველა მცხოვრებლებმა მიიღეს ამაში მონაწილეობა.

ბევრი ძველი თქმულება გამოუქვეყნებელია. მაგალითად როდესაც ერთმა ახალ-გაზდა და ღონიერმა აქაურ მცხოვრებმა შეცოცდა გუმბათში, სადაც დაბჯენილი არის ჯვარი და მოინდომა გამოტანა იმ ძვირფასი ქონებისა, რომელზედაც ამბობდნენ ყველანი, ვერაფერი ვერ იპოვა, მაგრამ რა კი სახში დაბრუნდა, იმავე წამს დაეცა იატაკზე და სული განუტევოს.

— მარიამმა დასაჯა ეგ ახალგაზდა ამგვარ შეუპოვრობის და კადნიერობისათვის! დაუმატა თავის მხრით ამ გადმოცემის მთქმელმა.

იქაური ქალები, რომლებიც სალოცავად მეჩეთში დადიან. ხშირად მოდიოდენ ხახულის მონასტერში, ლოცულობდნენ „მარიამის ხატის“ წინაშე და ევედრებოდენ მას მიანიჭოს მათ დახმარება სხვადასხვა გაჭირვებებში, უმეტესად, როდესაც მშობიარეს უმძიმდებოდა შვილის ყოლა, ან უბედური იყო ვინმესთან სიყვარულით.

ხალხი რომ პატივსაცემს ხახულის მონასტერს, ეს კიდევ იმით სჩანს, რომ მას მახლობლივ რამოდენიმე წლის წინეთ აღაშენეს თავისი მეჩეთი. მათ შეეძლოთ მონასტერი მეჩეთად გადაეკეთებიათ მაგრამ ეს ვერ გაბედეს.

სობოროს გაწმენდის შემდეგ პორუჩიკმა ბატონ შუგუროვმა აღმართა გუმბათზე და მთავარ დერეფანზე ორი დიდი ხის ჯვარი. ძალიან საძნელო და საშიშარი იყო ჯვრის აღმართვა მიუწდომელ გუმბათზე. არავის არ ჰქონდა წარმოდგენა, თუ გუმბათზე შესვლას ვინმე გაბედავდა.

— ბატონო პორუჩიკო! წამოიძახა ერთმა ღვთის ნაკურთხმა ჯარის კაცმა ქართველმა სახრაძემ. გევედრები მუხლ მოდრეკით ნება მომცეთ ავიდე და ჯვარი აღვმართო.

— მე ხომ პასუხის მგებელი ვიქნები, თუმც რაიმე უბედურება შეგემთხვა? ჰკითხა მას პარუჩიკმა შუგუროვმა.

— თქვენ ოღონდ ნება მიბოძე და ღვთის მშობელი მარიამი მე არა რა ცუდს შემამთხვევო რა კი მიიღო ნება, სახრაძემ ავარდა ზევით. ხალხი გულცახცახით შესცქეროდა უშიშარ გმირს. მაგრამ გმირმა ჯარის კაცმა ჯვარი აღმართა გუმბათზე.

როდესაც რახრაძემ გუმბათზე ძველი ჯვრის ბუდე ამოსწმინდა. მაშინ ამ ბუდეში ნახა იქ ერთ უძველესი ხის ნაკვეთი ამ ხის გულისაგან, რომელიც ალბათ ეკუთვნოდა ძველ ჯვარსა, ბ-მა შუგუროვმა გააკეთა საკურთხევლის ჯვარი. ეგ ჯვარი მეც თითონ ვნახე და გაკვირვებაში მოვედი, თერთმეტი საუკუნის განმავლობაში როგორ დარჩა ასე უვნებლად. იქაური მცხოვრებლები იმ ხეს, რომლისაგანაც იყო გაკეთებული ჯვარი, უწოდებენ „თურგენ“ და ამბობენ, რომ არც დრო ახდენს მას და არც ხის ჭიაო.

ჯვრის გარდა ბ. შუმოროვმა გააკეთა ახალი კანკელი და ჩადგა იმ ბუდეებში, რომელშიდაც ჩაშვებული იყო ძველი კანკელი. შემდეგ მან გააკეთა წმინდა საკურთხეველი, სამსხვერპლო, ორი ანალოი ხატებისთვის, ერთი სტოლი სალოცავად, სანთლის სტოლი, სასანთლეები და სხვა მოწყობილება.

ხატები სობოროსათვის ბ. შუგუროვს გამოუგზავნა ადესიდან მისმა დედამ ანნა ალექსანდროვნამ და სხვა პირებმა. რომელიმე მათგანი შემოსწირა თითონ ბ. შუგუროვმა. ერთ ჯვარს საკურთხეველში მან შემდეგი წააწერა: „აღსდეგ უფალო განსასვენებლად შენდა კიდობანი სიწმინდისა შენისა“ (ფსალმუნი დავითისა 131,8).

1916 წელს 24 ივნისს დიდის დღესასწაულით მოხდა განახლებული ტაძრისა კურთხევა. წირვა შეასრულა მამა ნიკოლსკიმ. მგალობლები იყვნენ ჯარის კაცებიდან და გალობდენ რუსულად და ქართულად. დიდძალი ხალხი დაესწრო ამ დღესასწაულს განსაკუთრებით ჯარისკაცებიდან. იქაური მცხოვრებლები დიდის გულმოდგინებით იდგნენ წირვაზედ და ისმენდენ ქრისტიანულ ღვთის ვედრებას.

ეს დღესასწაული წარმოადგენდა დიდ სასწაულს: თერთმეტი საუკუნის განმავლობაში აქ [illegible] ყოფილა [illegible] ღვთის დიდება. წირვისა და მოვლენის შემდეგ იმათმა, [illegible] და სხვასხვა შემოსულ მცხოვრებლებმა ქრისტიანეს დღესასწაული მიულოცეს და გაუმართეს მშვენიერი მასპინძლობა: მოართვეს ხილი, ჩაი, თაფლი და თუთის კანფეტები.

1817 წელში, ზაფხულში, ბ. შუგუროვის თხოვნით იქმნა დანიშნული არხეოლოგიური ექსპედიცია ხახულის მონასტრის დასათვალიერებლად. ამ ექსპედიციის გამართვას დიდი შემწეობა მისცა მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოებამ მიტროპოლიტმა ლეონიდმა და თავად აზნაურ საზოგადოების წინამძღომელმა კ. აბხაზმა, დიდი მასალა შეკრიბა ამ ექსპედიციამ სახულოს მონასტრის შესახებ. ამ მასალის გარჩევა მიენდო საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორს ს. ს. თაყაიშვილს და მხატვარ შევარდნაძეს.

ძვირფასო და პატივცემულო მკითხველო! ნუ თ ჩემებრ არ მოგივათ ცრემლი, რომ დავკარგეთ ეგ მშვენიერი ადგილები და მშვენიერი ქრისტიანობის ძეგლები? დავკარგეთ ის კუთხეები, სადაც იყო აღყვავილებული კულტურა ჩვენი წინაპრებისა, ჩვენის ძველის ქართველებისა.

რისთვის დაიღვარა ეგოდენი სისხლი ჩვენი მხედრებისა, თუ ეს მშვენიერი კუთხეები ისევ თათრებს ჩაუვარდებოდათ ხელში.

დაგვრჩ მხოლოდ ერთი იმედი. შეიძლება თათრის მთავრობამ ნება მოგვცეს ამ ნაშთების აღწერისა. ჩვენ შთამამავლობას. ეს აღწერა მაინც გარდასცეთ, რადგანაც სხვა არა რა შეგვიძლია

კმარა ეგოდენი სისხლის ღვრა, კმარა ეგოდენი შინაური მტრობა. რად გვინდა თავისუფლება, თუ ერთი ერთმანეთს შევსჭამთ მოვიგონოთ ღმერთი, მოვიგონოთ მამა-პაპური სარწმუნოება, სიყვარული ურთიერთობა და ნუ დავღუპავთ ჩვენ პატარა სამშობლოს, რომელიც შემოხვეულია გარეგანი და შინაური მტრებით.

ნუ დავსძრავთ მამაპაპათა საფლავს და მომავალ თაობას ჩვენს თავს ნუ შევაზიზღებთ.

**ქ. დ. მაჭავარიანი.**

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

---

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

1 ივანობისთვიდან 1918 წ.

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით

**ქუთაისიდან გადის.**

თფილისისაკენ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 10 | საღამოს | 9 საათ. | 02 წ. |
| სამგზავრო | — 24 | საღამოს | 9 — | 42 — |
| საფოსტო | — 4 | დღის | 11 — | 02 — |

**ფოთისკენ.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამგზავრო | № 23 | საღამოს | 9 საათ. | 2 წ. |
| საფოსტო | — 3 | ღამის | 1 — | 2 — |

**ტყიბულისკენ.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 4 | დილის | 5 საათ. | და 52 წ. |

**ქ. ქუთაისს მოდის.**

თბილისიდან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 9 | დილის | 9 საათ. | 17 წ. |
| სამგზავრო | — 23 | ღამის | 11 — | 22 — |
| საფოსტო | — 3 | ღამის | 3 — | 52 — |

**ფოთიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამგზავრო | № 24 | ღამის | 3 საათ. | 52 წ. |
| ფოსტო | — 4 | დღის | 12 — | 52 — |

**ტყიბულიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 3 | საღამოს | 6 საათ. | 52 წ. |

---

**დავკარგე** იოსებ მეთოდეს ძე კვიცარიძემ, 26 ივლისს, 1918 წ. სალდათობიდან თავისუფლების თეთრი ბილეთი, სამი ფულის მიბარების კვიტანციები სულ 590 მან. და ფული 1049 მან. 50 კაპ. მნახველს ვსთხოვ ფული დაიტოვოს და დანარჩენი ჩემთვის საჭირო საბუთები მიიტანოს ნიკიფორე ფხაკაძის დუქანში ან ჩემთან ძველი ლაგირის ქუჩის შესახვევი ნიკიფორე სინაურიძის სახლში.

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.